



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

---

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა

არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები

ქუთაისი

2012

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები

**უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში - (MA in Archaeology).

**პროგრამის ხელმძღვანელები** - სრული პროფესორი ომარ ლანჩავა,  
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჭუმბურიძე.

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS**

- ა) პროგრამის სავალდებულო კურსები - 55 კრედიტი
- ბ) პროგრამის არჩევითი კურსები - 30 კრედიტი
- გ) საკურსო ნაშრომი - 5 კრედიტი
- დ) სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

**სწავლების ენა:** ქართული.

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** -

1. საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მოამზადოს უმაღლესი განათლების II საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით, სათანადო ცოდნითა და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრები ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრებისა და არქეოლოგიური ექსპედიციებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგიური ძეგლების კვლევაში (არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, გათხრა, ფიქსაცია, არტეფაქტების კამერალური დამუშავება, რესტავრაცია-კონსერვაცია, პუბლიკაციისათვის მომზადება). საქართველოსათვის არქეოლოგია პრიორიტეტული დარგია და დიდი ყურადღება ექცევა არქეოლოგიური ძეგლების კვლევას, რაც უპირველეს ყოვლისა საბიუჯეტო და საგრანტო დაფინანსების გაზრდაში გამოიხატა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრთან და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით ახორციელებს ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის არქეოლოგიურ კვლევას.
2. კადრების მომზადება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებისა (მუზეუმები, ადგილობრივი და საერთაშორისო ძეგლთა დაცვითი პროგრამები) და ტურიზმის სფეროსათვის.
3. სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება. (დოქტურანტურა).

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
2. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.

3. საუნივერსიტეტო გამოცდა არქეოლოგიაში ტესტირების ფორმატით.

**სწავლის შედეგი:**

**ცოდნა და გაცნობიერება:**

*მაგისტრს ექნება -*

ღრმა და სისტემური ცოდნა: სავსე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია და საქართველოს არქეოლოგიაში (ანტიკური ეპოქის და ადრებიზანტიური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ); ეგეოსური სამყაროს ისტორიასა, არქეოლოგიასა და კულტურაში; ბერძნული და რომაული სამყაროს არქეოლოგიასა და ხელოვნებაში; ბიზანტიურ ცივილიზაციაში; ანტიკური ქვეყნების ისტორიასა და ეთნოლოგიაში; ანტიკური ხანის საქართველოს საომარ ხელოვნებაში; საქართველოს სოციოკულტურულ დინამიკასა და ეთნოლოგიაში; არქეოლოგიურ წყაროებში; ანტიკური ლიტერატურის პოეტიკაში და ენათმეცნიერებაში; ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებში; ერთ-ერთ უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; სამეცნიერო წერის საფუძვლებში.

*მაგისტრს შეეძლება -*

- დარგის წყაროთმცოდნეობითი ბაზის და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა და შეფასება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერდისციპლინარული მეთოდების მეშვეობით. სამეცნიერო ნაშრომის წერის პრინციპების და მათი გაფორმების წესების გამოყენება. ინფორმაციის კლასიფიკაცია, ფაქტების შეჯერება და არგუმენტაცია.
- საქართველოს სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამორჩევა და აღწერა. მათი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ასევე მათგან ცალკეული ელემენტების გამოკვეთა და შეფასება. არქეოლოგიური წყაროების სახეობების გარჩევა, მათი შემადგენლობის და დამზადების ტექნიკის განსაზღვრა, კლასიფიკაცია. ისტორიული წყაროების გამოყენება, მათი ანალიზი და შეფასება.
- ანტიკური და ბიზანტიური ცივილიზაციების გავლენის განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარებაზე და თავის მხრივ ქართული ცივილიზაციის როლის გააზრება ევროპის კულტურულ სივრცეში. ანტიკური ქვეყნების ისტორიის რაობის გააზრება და ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერების ფლობა.
- კლასიკური ენების და ლიტერატურის მნიშვნელობის გაცნობიერება ანტიკური და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში.
- განხილვა ანტიკური ცივილიზაციის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და მისი განვითარების კანონზომიერებებისა. ანტიკური არქექტივისათვის შესაბამისი ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების გაკეთება. სიძველეთმცოდნეობითი სამეცნიერო ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება.
- მოპოვებული არქეოლოგიური მასალების კვლევისას წარმოქმნილი ამოცანების გამოკვეთა. ახალი იდეების შემუშავების გზით მის წინაშე წარმოქმნილი ცალკეული სამეცნიერო პრობლემების არსში გარკვევა და მათი გადაჭრის გზების გაცნობიერება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

*მაგისტრს შეეძლება -*

- არქეოლოგიური ძეგლების და მასალების დამოუკიდებელი კვლევა უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. წარმოქმნილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა ინტერდისციპლინარული ცოდნისა და დარგობრივი კომპეტენციების გამოყენებით.
- საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ადგილობრივი და უცხოური არტეფაქტების გამოყოფა და კლასიფიცირება, გამოკვლევა და თეორიულ ცოდნასთან დაკავშირება. რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების გამოყენება.
- ანტიკური კულტურის აქტუალურ საკითხთა გააზრება როგორც ანტიკურობასთან, ისე სხვა კულტურულ პლასტებთან მიმართებაში. ბერძენ-რომაელთა ეთნოსისადმი დამახასიათებელი ეთნიკური კულტურის ელემენტების გამოცნობა.
- სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა - სპეციალური და მულტიდისციპლინარული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა, გააზრება და კრიტიკული ათვისება. ისტორიის წყაროს აღწერა, მისი გადმოცემა ზეპირად და წერილი ფორმით. ასევე წარმოქმნილი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება.
- მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და კვალიფიკაციის საფუძველზე, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სტრუქტურულად გამართული საკურსო და სამაგისტრო ნაშრომის შექმნა, მათ შორის საოფისე პროგრამების მეშვეობით.
- ტექსტების, სურათების, დიაგრამის, ანიმაციის საშუალებით საპრეზენტაციო დოკუმენტების შექმნა. საოფისე პროგრამების მონაცემების ურთიერთგაცვლა და ოპერაციული სისტემების საშუალებით დოკუმენტების ორგანიზაცია და მართვა.
- ბერძნული და ლათინურენოვანი წყაროების გამოყენება - ავთენტური ტექსტების შერჩევა, თარგმნა, დამუშავება და კომენტირება. ლექსიკონებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენება.
- სასწავლო კურსის ფარგლებში საკვლევი საკითხის განსაზღვრა, სამეცნიერო მასალის მოძიება, სისტემატიზაცია და ანალიზი. სამუხეუმო და საარქივო ფონდებზე მუშაობა.

#### არგუმენტირებული დასკვნის უნარი:

##### *მაგისტრს შეეძლება -*

- შესწავლილი მასალის საფუძველზე კვლევის წარმართვა - საკვლევი პრობლემის შესაბამისი წერილობითი და ნივთიერი წყაროების მოძიებისა და მათი დამოუკიდებელი დამუშავების გზით მოპოვებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მსოფლიო არქეოლოგიური პროცესის ზოგადი გააზრება და ამ პროცესში საქართველოს არქეოლოგიური რეალობის ჩვენება.
- ანტიკური ცივილიზაციების, საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობისა და უახლესი აღმოჩენების ლოგიკური ანალიზი. მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის მეშვეობით საკუთარი დაკვირვებების წერილობითი თუ ზეპირი სახით ჩამოყალიბება. სამეცნიერო პრობლემათა გადაჭრის გზების მოძიება და საკუთარი გადაწყვეტილებების არგუმენტირება.

- საკამათო საკითხებზე დისკუსიისათვის თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების მკაფიოდ ფორმულირება, განზოგადება და სინთეზირება საკუთარი კვლევის ინტერესების და მიზნების შესაბამისად.

### **კომუნიკაციის უნარი:**

#### *მაგისტრს შეეძლება -*

- მშობლიურ და უცხოურ ენაზე (უპირატესად ინგლისური) თავისი დასკვნების, არგუმენტაციის და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია დარგისა და მომიჯნავე სფეროს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებაში სპეციალური ტერმინოლოგიის და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების, მოსაზრებების, დასკვნების და არგუმენტების, კვლევის შედეგების ნარატიული ფორმით გადმოცემა და ზეპირი პრეზენტაცია.
- პროფესიული საქმიანობის სფეროში სამეცნიერო დისკუსიაში და დებატებში მონაწილეობა. კამათში ეთიკური ნორმების გამოყენებით საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების დაცვა და არგუმენტირება.
- კვლევისათვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (მათ შორის ინტერნეტ-რესურსების) აღმოჩენა და გამოყენება სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. საკუთარი და სხვისი კვლევის შედეგების სწორად კომენტირება, ანოტირება, რედაქტირება და შეფასება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.

### **სწავლის უნარი:**

#### *მაგისტრს შეეძლება -*

- შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა - ახალი სამეცნიერო-სასწავლო ინფორმაციის მოპოვება, შეთვისება და ადეკვატურად გამოყენება. სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული ახალი სამეცნიერო მასალების გაცნობა-დამუშავება. ახალი მეთოდების შესწავლა და გამოყენება. დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი დროის სწორი მენეჯმენტი.
- არქეოლოგიის და მომიჯნავე სფეროებში თითოეული დისციპლინის სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. მათ დასაუფლებლად შესაბამისი სტრატეგიის მაღალ დონეზე დაგეგმვა და შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა.
- საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების ობიექტურად შეფასება და გაანალიზება.
- სამეცნიერო ინტერესების და საკვლევ მიმართულების განსაზღვრა. კვლევითი ნაშრომის (საკურსო და სამაგისტრო) დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და შესრულება.

### **ღირებულებები:**

- საკუთარი ქვეყნის ისტორიის და კულტურისადმი პატივისცემა, პატრიოტიზმი და ეროვნული სიამაყე.
- საკაცობრიო ცივილიზაციის მიღწევათა გაზიარება და ფასეულებათა სისტემის აღიარება.
- ტოლერანტული დამოკიდებულება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური უმცირესობების მიმართ.

- პროფესიული ეთიკის პატივისცემა და მის ფორმირებაში მონაწილეობა. აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვა.
- საკაცობრიო და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების სწორად შეფასება. საკუთარი პასუხიმგებლობის გაცნობიერება საზოგადოების წინაშე.
- არქეოლოგიასა და ანტიკურ ცივილიზაციებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

### კომპეტენციათა ცხრილი:

სასწავლო კურსები	კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	არგუმენტირებული დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამეცნიერო წერის საფუძვლები		X	X	X	X	X
საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია	X	X	X	X	X	X
ეგეიდა - ისტორია, არქეოლოგია, კულტურა	X	X				X
საომარი ხელოვნება ანტიკური ხანის საქართველოში	X	X	X			
ისტორიული ეპოქის საქართველოს არქეოლოგია (ანტიკ. და ადრეიზანტ. ხანა)	X	X	X		X	X
ბერძნული და რომაული სამყაროს არქეოლოგია და ხელოვნება	X	X			X	X
ინფორმაციული ტექნოლოგიები	X	X	X	X	X	X
საველე არქეოლოგიური პრაქტიკა	X	X				X
ბიზანტიური ცივილიზაცია და საქართველო	X	X	X			X
ანტიკური ქვეყნების ხალხთა ეთნოლოგია	X	X				X
საქართველოს სოციოკულტურული დინამიკა	X	X	X		X	X
ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის საქართველოში.	X	X	X			
ანტიკური ქვეყნების ისტორიის წყაროთმცოდნეობა	X	X			X	
უცხო ენა (ინგლისური) 1	X	X		X	X	
უცხო ენა (გერმანული) 1	X	X		X	X	
უცხო ენა (ფრანგული) 1	X	X		X		
უცხო ენა (რუსული) 1	X	X		X		
ძველი ბერძნული ენა	X	X	X	X	X	X
უცხო ენა (ინგლისური) 2	X	X		X	X	
უცხო ენა (გერმანული) 2	X	X		X	X	X
უცხო ენა (ფრანგული) 2	X	X		X		
უცხო ენა (რუსული) 2	X	X	X	X	X	X
ლათინური ენა	X	X	X	X	X	X
საქართველოს ეთნოლოგია	X	X				X

ანტიკური ქვეყნების ისტორია	X	X	X		X	
ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია	X	X	X	X		
არქეოლოგიური წყაროები	X	X	X			X
ანტიკური ცივილიზაცია	X	X	X	X	X	X
ანტიკური ლიტერატურის პოეტიკა	X	X	X	X	X	X

### დასაქმების სფერო:

- საერთაშორისო და ადგილობრივი არქეოლოგიური ექსპედიციები.
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრები.
- სხვადასხვა პროფილის მუზეუმები.
- ტურისტული ორგანიზაციები.
- სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებები.
- კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამები.
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის პროგრამები.
- კულტურულ ფასეულობათა ექსპერტიზა.

### სწავლების ფორმატი:

ლექცია, პრაქტიკული და დამოუკიდებელი მუშაობა, სავსე არქეოლოგიური პრაქტიკა, საკურსო და სამაგისტრო შრომები.

### სწავლებისა და სწავლის მეთოდები -

- **ვერბალური (ზეპირი პრეზენტაცია)** - გამოიყენება პროფესორის მიერ მასალის გადაცემისას და სტუდენტის მიერ პრაქტიკული მუშაობისას. ის ხელს უწყობს სტუდენტში მოსმენის უნარის განვითარებას და თეორიული ინფორმაციის ათვისების გაადვილებას.
- **ვიზუალური დემონსტრირება** - გამოიყენება პროფესორის მიერ სასწავლო მასალის გადაცემისას და სტუდენტის მიერ პრაქტიკული მუშაობისას. საილუსტრაციო მასალის (ფოტომასალა, ცხრილები, ნახაზები) დემონსტრირება დაფის, ტექნიკური საშუალებების, კომპიუტერის გამოყენებით - ხელს უწყობს სასწავლო მასალის აღქმას თვასაჩინოების სხვადასხვა საფეხურის მეშვეობით; ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის არსს; აადვილებს თეორიული ინფორმაციის ათვისებას.
- **დისკუსია** - ეხმარება სტუდენტს გამოიმუშავოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბების და დასაბუთების უნარი; ზრდის სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობას; გამოუმუშავებს სტუდენტებს კამათის და დებატების ჩვევებს; ხელს უწყობს შესასწავლი მასალის გააზრება-გაცნობიერებას.
- **წიგნზე მუშაობა** - მოიცავს ლექციაზე, პრაქტიკული და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობისას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის და წერილობითი წყაროების კითხვას. აწვითარებს სათანადო მასალების მოპოვების ჩვევას; ხელს უწყობს მასალის ათვისება-გააზრების უნარის ჩამოყალიბებას.

- **წერითი მუშაობა** - გამოიყენება სტუდენტის მიერ და გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: საჭირო მასალების მოძიება და ჩანაწერების გაკეთება, სასწავლო და საპრეზენტაციო საკითხების დაკონსპექტება, თეზისების და რეფერატის შედგენა.
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
- **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას, რომელიც ხორციელდება სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.
- **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში რომელიმე საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებას და ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.
- **ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს **შებრუნებულ პროცედურას**, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

### სტუდენტთა შეფასების სისტემა -

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.



2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

საკურსო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასების სისტემა გაწერილია შესაბამის ინსტრუქციებში.

**სასწავლო გეგმა:**

№	დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო მუშაობა									საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				
		საკონტაქტო	ლექცია	პრაქტიკული	დამოკიდებული	გამოცდის საათები	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი	
							I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	სულ	I სემ	II სემ	III სემ	IV სემ
<b>პროგრამის ძირითადი კურსები</b>															
1	სამეცნიერო წერის საფუძვლები	24	8	16	97	4	5			5	2				
2	საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდика	24	12	12	97	4	5			5	2				
3	ეგვიდა - ისტორია, არქეოლოგია, კულტურა	24	12	12	97	4	5			5	2				
4	საომარი ხელოვნება ანტიკური ხანის საქართველოში	24	12	12	97	4	5			5	2				
5	ისტორიული ეპოქის საქართველოს არქეოლოგია (ანტიკური და ადრებიზანტიური ხანა)	30	15	15	91	4		5		5		2			
6	ბერძნული და რომაული სამყაროს არქეოლოგია და ხელოვნება	30	15	15	91	4		5		5		2			
7	ინფორმაციული ტექნოლოგიები	30	0	30	90	5		5		5		2			
8	საველე არქეოლოგიური პრაქტიკა	30	0	30	90	5		5				+			
9	ბიზანტიური ცივილიზაცია და საქართველო	30	15	15	91	4			5	5			2		
10	ანტიკური სამყაროს ხალხთა ეთნოლოგია	30	15	15	91	4			5	5			2		
11	საქართველოს სოციოკულტურული დინამიკა	30	20	10	91	4			5				2		
12	საკურსო ნაშრომი								5	5			+		
13	სამაგისტრო ნაშრომი									30	30				
<b>არჩევითი საგნები I. 1</b>							5			5	2				
1.1	ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ანტიკური ხანის საქართველოში	24	12	12	97	4									
1.2	ანტიკური ქვეყნების ისტორიის წყაროთმცოდნეობა	24	12	12	97	4									
<b>არჩევითი საგნები I. 2</b>							5			5	2-3				
2.1	უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) 1	36	0	36	86	3									
2.2	ძველი ბერძნული ენა	24	12	12	98	3									
<b>არჩევითი საგნები II. 1</b>								5		5		2-3			
3.1	უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) 2	45	0	45	77	3									
3.2	ლათინური ენა	30	0	30	92	3									
<b>არჩევითი საგნები II. 2</b>								5		5		2			
4.1	საქართველოს ეთნოლოგია	30	20	10	91	4									
4.2	ანტიკური ქვეყნების ისტორია	30	15	15	91	4									
<b>არჩევითი საგნები III. 1</b>									5	5			2		
5.1	ლინგვისტურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკური პერიოდი)	30	15	15	91	4									
5.2	არქეოლოგიური წყაროები	30	15	15	91	4									
<b>არჩევითი საგნები III. 2</b>									5	5			2		
6.1	ანტიკური ცივილიზაცია	30	24	6	92	3									
6.2	ანტიკური ლიტერატურის პოეტიკა	30	23	7	92	3									
<b>ს უ ლ:</b>							30	30	30	30	120	12-13	10-11	10-11	

შენიშვნა: თითოეულ სემესტრში სტუდენტი ირჩევს ორ არჩევით საგანს, ანუ უნდა აითვისოს 10 კრედიტი.

**სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები (სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა):**

1. აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიის და სიმველეთმცოდნეობის მიმართულება. აწსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები. კეთილმოწყობილი კაბინეტ-აუდიტორიები, მათ შორის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის აუდიტორია. მიმართულების კომპიუტერული რესურს-ცენტრი (ინტერნეტში ჩართული სამი კომპიუტერი, შავი და ფერადი პრინტერი, სკანერი, ტელევიზორი). არქეოლოგიური მასალების ელექტრონული ბიბლიოთეკა.
2. აწსუ-სა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის ერთობლივი მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და მისი ბაზა.
3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ფონდები და ლაბორატორიები).
4. საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრი (სამეცნიერო ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები და მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციები).
5. პუბლიკაციების შესაძლებლობა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო შრომათა კრებულებში.

**სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში აწსუ-სთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე მონაწილე დაწესებულებები:**

1. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი.
2. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი.

**სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:**

საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის მეშვეობით სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად (4 სრული პროფესორი, 9 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი, 3 მოწვეული სპეციალისტი) –

1. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ო. ლანჩავა - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიმველეთმცოდნეობის მიმართულების ხელმძღვანელი და სრული პროფესორი; იმერეთის რეგიონის არქეოლოგიური კვლევების და კოლექციების უფროსი ზედამხედველი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი; ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი.

2. ისტორიის დოქტორი მ. ჭუმბურიძე - ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
3. ისტორიის დოქტორი რ. ისაკაძე - საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი; აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასისტენტ პროფესორი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
4. ისტორიის დოქტორი ნ. ქარციძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების მოწვეული სპეციალისტი; აწსუ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი.
5. ისტორიის დოქტორი რ. მიქაუტაძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
6. ისტორიის დოქტორი დ. შავიანიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
7. ისტორიის დოქტორი მ. ხვედელიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის მიმართულების ასისტენტ პროფესორი.
8. ისტორიის დოქტორი ო. ნიშნიანიძე - აწსუ ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის მსოფლიო ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.
9. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნ. ჩიხლაძე - კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
10. ფილოლოგიის დოქტორი ზ. ლილუაშვილი - კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
11. ფილოლოგიის დოქტორი ნ. კუტივაძე - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
12. ფილოლოგიის დოქტორი ნ. წულეისკირი - ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
13. ფილოლოგიის დოქტორი ე. ქორიძე - გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი.
14. ფილოლოგიის დოქტორი ე. გაჩეჩილაძე - კლასიკური და რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
15. ფილოლოგიის დოქტორი ი. კიკვიძე - სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
16. ფილოლოგიის დოქტორი მ. ალავიძე - ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი.
17. ფილოლოგიის დოქტორი ნ. ბობოხიძე - სლავისტიკის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.
18. ქ. ჭელიძე - კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მოწვეული სპეციალისტი.